ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2019 წლის 4 თებერვალი

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ და მძიმე ეკონომიკური პირობების მქონე მოქალაქეებზე და ამ წესით განსაზღვრულ სხვა პირებზე მატერიალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 12/02/2018, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016320).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

1. გაეწიოს მატერიალური დახმარება:

ა) ოპერაციის ან სამედიცინო მომსახურებისათვის – იმ თანხის 50%-ით, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის ან კერძო დაზღვევის პროგრამით, არაუმეტეს 700 ლარისა;

ბ) როდესაც ოპერაციის ან სამედიცინო მომსახურებისათვის მოქალაქის მიერ გადასახდელი თანხა 2000 (ორი ათასი) ლარზე მეტია, დაფინანსდეს 1000 (ერთი ათასი) ლარით;

გ) სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების (ონკოლოგიური და სხვა მძიმე სახის დაავადება) მკურნალობისას - 1500 ლარამდე;

დ) სამედიცინო გამოკვლევებისთვის ღირებულების 50%-ით, არაუმეტეს 500 ლარისა;

ე) „C" ჰეპატიტით დაავადებულ პირებს, „C" ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დაავადების სტადიის განსასაზღვრი კვლევების დასაფინანსებლად, პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის - სოციალურად დაუცველთათვის ღირებულების 30%, დანარჩენი ბენეფიციარებისათვის – 70%;

ვ) მედიკამენტების შესაძენად – 150 ლარამდე შემდეგი დაავადებებისას:

ვ.ა) ეპილეფსიის;

ვ.ბ) პარკინსონის;

ვ.გ) ბრონქიალური ასთმის;

ვ.დ) 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების მკურნალობისას, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 001-ს.

დახმარება გაეწევა ბენეფიციარებს, რომლებიც არ მონაწილეობენ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში.

ზ) კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ელემენტის შესაძენად - წელიწადში 1000 ლარის ოდენობით;

თ) 100 წელს მიღწეულ და 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეთათვის წელიწადში ერთჯერ – 500 ლარის ოდენობით;

ი) გარდაცვლილი ომის ვეტერანის ან/და იძულებით გადაადგილებულ გარდაცვლილი პირის დაკრძალვის ხარჯისთვის - 250 ლარი;

კ) სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ 57001 სარეიტინგო ქულამდე მყოფ გარდაცვლილთა ოჯახის წევრს დაკრძალვის ხარჯისთვის – 200 ლარი;

ლ) შშმ 18 წლამდე ასაკის ბავშვების სამკურნალო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსებისთვის – 1200 ლარამდე;

მ) განსაკუთრების მძიმე შეზღუდვის მქონე შშმ პირების დახმარება, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მომვლელს ან მეთვალყურეს და არ არიან სოციალური შემწეობის მიმღები– თვეში 30 ლარის ოდენობით;

ნ) ჰემოდიალიზის ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარებს – ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით და ლეიკემიით დაავადებულებს - წელიწადში 600 ლარის ოდენობით;

ო) ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულ პირებს წელიწადში ერთჯერ -100 ლარი;

პ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ მეომრის ოჯახს, რომელიც რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მათზე არ ვრცელდება „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნები, მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად - წელიწადში 2000 ლარი;

ჟ) სამამულო ომის მონაწილეებსა და უსინათლო მოქალაქეებს – ყოველთვიურად 30 ლარის ოდენობით კომუნალური ხარჯების დასაფარავად;

რ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილ ოჯახებს – ყოველთვიურად 20 ლარის ოდენობით კომუნალური ხარჯების დასაფარავად;

ს) უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომლებიც თხოვნის მომენტში განიცდიან ცხოვრების მძიმე სოციალურ პირობებს – არაუმეტეს 100 ლარისა.

ტ) მრავალშვილიანი ოჯახების, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150001-ს და ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი – დახმარება განისაზღვროს ოთხი ბავშვის შემთხვევაში წელიწადში ერთჯერ 200 ლარით და ყოველ მომდევნო ბავშვზე დაემატოს 50 ლარი.

უ) მარტოხელა მშობლებს, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, წელიწადში ერთჯერ – 200 ლარი.

ფ) მარჩენალდაკარგულებს, რომელთაც გარდაცვლილი ყავს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი, წელიწადში ერთჯერ – 100 ლარი.

ქ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახებს ერთჯერადად:

ქ.ა) პირველი ბავშვის შეძენის შემთხვევაში – 100ლარი;

ქ.ბ) მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში – 150ლარი;

ქ.გ) მესამე ბავშვის შეძენის შემთხვევაში – 200ლარი;

ქ.დ) მეოთხე ბავშვის შეძენის შემთხვევაში – 250ლარი;

ქ.ე) მეხუთე ბავშვის შეძენის შემთხვევაში – 300 ლარი, ხოლო ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენისას თანხა გაიზარდოს 50 ლარით;

ქ.ვ) ტყუპების შეძენის შემთხვევაში – 500ლარი.

2. განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 21 ნოემბრის №49/2179 ბრძანებით განსაზღვრული სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის კატეგორიების შესაბამისად დახმარების ოდენობა:

ა) პირველი კატეგორია – 1000-დან 1500 ლარამდე;

ბ) მეორე კატეგორია – 500-დან 1000 ლარამდე;

გ) მესამე კატეგორია – 200-დან 500ლარამდე.

3. განისაზღვროს უსახლკარო ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა დროებით ან გრძელვადიანი გადახდით არაუმეტეს თვეში 100 ლარისა.''

2. შეტანილი იქნას ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3

მატერიალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

1. სამედიცინო მომსახურებისათვის (ოპერაცია, მკურნალობა, გამოკვლევა) დახმარების

დასაფინანსებლად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ჯანმრთელობის ცნობა;

დ) ანგარიშფაქტურა/ინვოისი

ე)კალკულაცია;

ვ) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ზ) საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის ან სხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი.

თ) არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი (საჭიროების შემთხვევაში).

2. ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა)განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) განმცხადებლის პირადი ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

დ) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

3. მედიკამენტების შესაძენად დახმარებისათვის მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ჯანმრთელობის ცნობა;

დ) ანგარიშფაქტურა;

ე) ექიმის მიერ დანიშნული წამლების ჩამონათვალი ბეჭდით დამოწმებული და ხელმოწერილი;

ვ) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

ზ) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ ამავე დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ“ და„ვ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. გარდაცვლილი დევნილის ან ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) ომის მონაწილის ან დევნილობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) განმცხადებლის პირადი ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

ვ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

5. სოციალურად დაუცველი გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების ასანაზღაურებლად ოჯახის ერთ- ერთმა წევრმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) გარდაცვლილის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) გარდაცვალების მოწმობის ასლი;

დ) განმცხადებლის პირადი ანგარიშის ნომერი ბანკიდან;

ე) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან გარდაცვლილის სარეიტინგო ქულის შესახებ;

ვ) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ზ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

6. ახალშობილის ოჯახმა (მშობელმა), რომელიც რეგისტრირებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, დახმარებისათვის უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ახალშობილის დაბადების მოწმობის ასლი (მეორე და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენის შემთხვევაში წარმოადგინოს ყველა დანარჩენი ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი);

დ) ახალშობილის რეგისტრაციის ბარათი;

ე) საბანკო ანგარიშის ნომერი;

ვ) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.

7. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) საბანკო ანგარიშის ნომერი;

გ) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

დ) საბრძოლო მოკვლევის დოკუმენტაცია.

8. კოხლეარული იმპლანტის აპარატის ელემენტის შესაძენად დახმარების მიღება მოხდება ბენეფიციარის მშობლის/უფლებამოსილი პირის განცხადებით.

დახმარების მიმღებმა განცხადებას უნდა დაურთოს:

ა) მშობლის/უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) არასრულწლოვნის დაბადების მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა N100;

დ) ანგარიშფაქტურა შესაბამისი მომწოდებლიდან.

9. „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დაავადების სტადიის განსასაზღვრი კვლევების დაფინანსებისთვის ბენეფიციარმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

გ) ინვოისი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

10. ჰემოდიალიზის ჩანაცვლების სეანსებით მოსარგებლე და ლეიკემიით დაავადებულმა ბენეფიციარებმა წლის დასაწყისში უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

დ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

11. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის მონაწილე ოჯახმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები;

გ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

დ) არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;

ე) ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

ვ) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ზ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

12. მარჩენალდაკარგულთა დახმარების პროგრამის ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) ბავშვის/ბავშვების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) მშობლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) გარდაცვლილი მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი;

ე) მერის წარმოადგენლის შუამდგომლობა;

ვ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

13. მარტოხელა მშობელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ)ბავშვის/ბავშვების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) მერის წარმოადგენლის შუამდგომლობა;

ვ) საბანკო ანგარიშის ნომერი.

14. შშმ პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) მეურვის/მომვლელის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) მეურვის/მომვლელის საბანკო ანგარიშის მონაცემები;

ე) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ვ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

ზ) ცნობა შშმ პირის სტატუსის განსაზღვრის შესახებ;

თ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.

15. უსახლკარო ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ქირავნობის ხელშეკრულების ასლი;

დ) საბანკო ანგარიშის მონაცემები;

ე) მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა;

ვ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

16. მატერიალური დახმარების მიღების მსურველმა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობით

რეგისტრაციის ადგილის დაუდგენლობის შემთხვევაში მერიაში დამატებით უნდა წარმოადგინოს განცხადება - ანკეტის (ფორმა №1) ასლი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან.''

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**